



სტრატეგიული განვითარების გეგმა  
2020/21 – 2026/27 აკადემიური წლები


სამოქმედო გეგმა  
2023/24 – 2025/26 აკადემიური წლები





# სარჩევი

შესავალი .....	3
მისია და ხედვა.....	6
ღირებულებები .....	7
კავკასიის უნივერსიტეტი 2026-2027 წელს.....	8
სტრატეგიული განვითარების გეგმა .....	10
სამოქმედო გეგმა 2023/24 – 2025/26.....	25
დაგეგმვის მეთოდოლოგია .....	50
SWOT ანალიზი .....	54
სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები .....	58



## შესავალი

კავკასიის უნივერსიტეტის ისტორია იწყება 1998 წლიდან, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დაფინანსებით, ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ჩამოყალიბდა კავკასიის ბიზნესის სკოლა (CSB) და დაიწყო პირველი დასავლური ტიპის ბიზნეს-განათლების მიწოდება საქართველოში. საქმიანობის დაწყებიდან მალევე ამოქმედდა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. 2004 წელს კი ბიზნესის სკოლის ბაზაზე ჩამოყალიბდა კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - კავკასიის უნივერსიტეტი.

დღესდღეობით კავკასიის უნივერსიტეტი აერთიანებს 11 სკოლას (ფაკულტეტს): ბიზნესის სკოლა (CSB), სამართლის სკოლა (CSL), მედიის სკოლა (CSM), ტექნოლოგიების სკოლა (CST), სახელმწიფო მართვის სკოლა (CSG), ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა (CSH), ტურიზმის სკოლა (CTS), მედიცინის სკოლა (CMS), ეკონომიკის სკოლა (CSE), განათლების სკოლა (CES), არქიტექტურისა და დიზაინის სკოლა (CSA). უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებს ანიჭებს ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის ხარისხს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

კავკასიის უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს მაღალი ხარისხის განათლებას, რომელსაც უზრუნველყოფს მაღალი აკადემიური კვალიფიკაციის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალის, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამების, ეფექტური სასწავლო პროცესის, თანამედროვე ინფრასტრუქტურისა და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შესრულების მეშვეობით. კავკასიის უნივერსიტეტი მიზნად ისახავს, მოამზადოს დემოკრატიული ფასეულობებისა და ეთიკური ნორმების მიმდევარი კვალიფიციური კადრები და ამით წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებასა და ცოდნის გაზიარებაში.

სასწავლო პროგრამები შექმნილია დასაქმების ბაზრის მოთხოვნებისა და წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. უნივერსიტეტი განუწყვეტლივ ზრუნავს სასწავლო პროცესში მაღალი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების მოზიდვა-ჩართვაზე. სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის კავკასიის უნივერსიტეტი მუდმივად აძლიერებს აკადემიურ-სამეცნიერო რესურსს და ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.

კავკასიის უნივერსიტეტის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებაში სწავლების თანამედროვე მეთოდების და ინოვაციების დანერგვის გზით.

კავკასიის უნივერსიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს ევროპის, ამერიკისა და აზიის წამყვან უნივერსიტეტებთან. შესაბამისად, სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს საშუალება ეძლევათ, სისტემატურად გაიზიარონ საერთაშორისო გამოცდილება.

კავკასიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი სამწლიანი გეგმის დასასრულს 88%-დან 93%-მდე გაიზარდა. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან სახელმწიფო და კერძო კომპანიებში როგორც საქართველოში, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ქვეყნისა და საერთაშორისო დონეზე უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების შესაბამისად კავკასიის უნივერსიტეტი ანახლებს სტრატეგიული განვითარების გეგმას, რათა ამ გზით უზრუნველყოს უნივერსიტეტის მისიისა და ამოცანების შესაბამისობა მუდმივად ცვალებად გარემოსთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

2019-2020 აკადემიურ წელს შემუშავდა კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტი იმოქმედებს მომავალი 7 წლის განმავლობაში (2020/21 - 2026/27 აკადემიური წლები).

სამ წლიანი ეტაპის (2020/21-2022/23) დასრულებისთანავე სამოქმედო გეგმა დაექვემდებარა შეფასებასა და განახლებას, რა დროსაც გადაიხედა და განახლდა სტრატეგიული ამოცანები, განსახორციელებელი აქტივობები და სტრატეგიული ამოცანების მიღწევის საზომი ინდიკატორები.

მოდლიფიკაცია განიცადა სტრატეგიული ამოცანების, აქტივობებისა და საზომი ინდიკატორების რიცხვმა. აღნიშნული განახლება/ცვლილება გამოწვეული იყო ერთი მხრივ შეცვლილი გარე კონტექსტით და ახალი პერსპექტივებით, მეორე მხრივ კი პროცესებზე დაკვირვებით და პროცესების ეფექტურობის მეტად გაუმჯობესების სურვილით. სტრატეგიულ გეგმაში აისახა ინსტიტუციის ყველა ახალი ინიციატივა და ინსპირაცია. ვინაიდან კავკასიის უნივერსიტეტი არამხოლოდ ხარისხიანი უმაღლესი განათლების, არამედ ხარისხისანი პროფესიული განათლების მიმწოდებელიც გახდა,

შესაბამისი ცვლილებები აისახა სტრატეგიულ გეგმაში და დაემატა პროფესიული განათლების მიწოდებასთან დაკავშირებით საზომი ინდიკატორები და აქტივობები. გაკეთდა აქცენტი უნივერსიტეტის მესამე მისიაზე და დაემატა აქტივობები, რომლებიც უნივერსიტეტის მესამე მისიის პროფილის ჩამოყალიბებას და მხარდაჭერას უზრუნველყოფს, გაჩნდა ინსტიტუციის ინსპირაცია მდგრადი განვითარების (SDG) მიზნების შესაბამისობის მიღწევასთან, ინსტიტუციის მიერ ინდუსტრიასთან თანამშრომლობით კვლევების ინტენსიფიკაციასთან და ინდუსტრიიდან შემოსული შემოსავლის მაქსიმიზაციასთან დაკავშირებით. შედეგად, 2023 წლიდან კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა შედგება 29 ამოცანის, 189 საზომი ინდიკატორებისა და 174 დაგეგმილი აქტივობებისაგან.

## მისია

კავკასიის უნივერსიტეტის მისიაა კვლევებზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, მორალური ღირებულებების მატარებელი და დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

## ხედვა

კავკასიის უნივერსიტეტის ხედვაა ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელშიც ნებისმიერს თავისი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენის შესაძლებლობა ექნება, რაც მას საერთაშორისო აღიარებასა და ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებული უნივერსიტეტის სახელს მოუპოვებს კავკასიის რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ.

1

## ნოვატორული სულისკვეთება

ჩვენ გვსურს, მუდმივად ვიყოთ ნოვატორები ცოდნის შექმნასა და გაზიარებაში ისე, რომ ვპასუხობდეთ საზოგადოების საჭიროებებსა და მოთხოვნებს.

2

## ინკლუზია და მრავალფეროვნება

ჩვენ გვსურს, ადგილობრივი თუ რეგიონული საზოგადოების წევრებს შევუქმნათ შესაძლებლობა, გაუგონ და პატივი სცენ მათ, ვისი თვალსაზრისი, ღირებულებები, წარმოდგენები, ტრადიციები და მსოფლმხედველობა განსხვავებულია. მხოლოდ განსხვავებული გამოცდილების, ისტორიის და თვალსაზრისის მქონე ადამიანებთან ურთიერთობით არის შესაძლებელი თანამედროვე სამყაროს შესახებ თვალსაწიერის გაფართოება.

3

## აკადემიური თავისუფლება

ჩვენ ვქმნით აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებულ გარემოს, სადაც აკადემიური პერსონალი თავისუფალია ცოდნის შექმნასა და გადაცემის პროცესში.

4

## ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებასთან თანამშრომლობა

ჩვენ პარტნიორობა გვსურს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო საზოგადოებასთან იმისთვის, რომ გავაზიაროთ, შევქმნათ და გადავცეთ რელევანტური ცოდნა სხვადასხვა მიმართულებით.

5

## ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა

ჩვენ გვსურს ქართულ საზოგადოებას მივცეთ ცოდნა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას SDG მიზნების გათვალისწინებით და გაზრდის მის კონკურენტუნარიანობას.



# კავკასიის უნივერსიტეტი 2026/27 წელს

კავკასიის უნივერსიტეტი 2026/27 წელს წარმოადგენს მძლავრ აკადემიურ საგანმანათლებლო ინსტიტუციას, რომელიც პოზიტიურ გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე ეროვნული, რეგიონული და გლობალური მასშტაბით.

კავკასიის უნივერსიტეტის 2020/21 – 2026/27 სტრატეგიული გეგმის სამი ძირითადი მიმართულების მიღწევის მხრივ 2026/27 აკადემიურ წელს მოსალოდნელი მდგომარეობა იქნება შემდეგი სახის:

## სამეცნიერო კვლევების ინტენსიფიკაცია და რელევანტობის გაზრდა

კავკასიის უნივერსიტეტში ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები ხორციელდება მრავალი მიმართულებით ადგილობრივ და საერთაშორისო კოლეგებთან თანამშრომლობით, სკოლებში არსებული კვლევითი ცენტრების მხარდაჭერით, რაც დასტურდება კვლევითი ცენტრების დაფუძნებით, რეცენზირებული პუბლიკაციების რაოდენობის ზრდით 69%-ით, ზეგავლენის მქონე კვლევითი ეროვნული და საერთაშორისო პროექტებისა და სხვა ინტელექტუალური პროდუქტების მზარდი პორტფელით. კავკასიის უნივერსიტეტი ინოვაციების რეგიონალური კერაა, რომელიც იზიდავს წარმატებულ მკვლევრებს და ხელს უწყობს ინტერდისციპლინურ თანამშრომლობას.

უნივერსიტეტს აქვს სტრატეგიული თანამშრომლობა ინდუსტრიასთან, რაც ხელს უწყობს კვლევის შედეგების გამოყენებადობას და შესაბამისად სოციალურ და ეკონომიკურ წინსვლას.

უნივერსიტეტი კვლევებს ავითარებს ძირითადად შემდეგი მიმართულებებით: კიბერუსაფრთხოება, ჯანდაცვის მართვა, ფინანსები და საბუღალტრო აღრიცხვა, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების მიმართულებებით.

## სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება

კავკასიის უნივერსიტეტისთვის ხარისხიანი განათლება უმთავრესი პრიორიტეტია. მდგრადი განვითარების მეოთხე მიზნის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინკლუზიურ გარემოს და თანაბარ შესაძლებლობებს ხარისხიანი განათლების მისაღებად მთელი სიცოცხლის მანძილზე. 2026-2027 წლისთვის კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა



რაოდენობა მიაღწევს მინიმუმ 20,000 თბილისის, ბათუმის, გურჯაანისა და საერთაშორისო (დუბაი) ლოკაციებზე.

2026-2027 აკადემიურ წლისთვის უნივერსიტეტი ოპერირებს 75-მდე აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამით უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე და 2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გურჯაანში. უნივერსიტეტს აქვს მინიმუმ 12 უცხოენოვანი, ერთობლივი/ორმაგი საგანმანათლებლო პროგრამა საერთაშორისო პარტნიორთან. კავკასიის უნივერსიტეტის სწავლების მოდერნიზებული მეთოდოლოგია, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება, პერსონიზირებული სწავლის მიდგომები, პრაქტიკულ და რბილ უნარებზე აქცენტირება და პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის მაქსიმიზაციას და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის ზრდას. საგანმანათლებლო პროგრამები შექმნილია დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით და ეფუძნება დარგის თანამედროვე მიღწევებს და შრომის ბაზრის ტენდენციებს.

## ინტერნაციონალიზაცია

კავკასიის უნივერსიტეტი პოზიციონირებს, როგორც გლობალური მოთამაშე და სწავლების, კვლევისა და მართვის ინტერნაციონალიზაცია ერთ-ერთი პრიორიტეტი.

2026-2027 აკადემიური წლისთვის, უნივერსიტეტი ოპერირებს 12 ერთობლივი/ორმაგი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამით, სტუდენტთა და პერსონალის მობილობის მაჩვენებელი (როგორც შემოსული ასევე გასული) გაზრდილა 100%-ით 2022-2023 აკადემიური წლის მაჩვენებელთან მიმართებაში.

2026-2027 აკადემიური წლისთვის უნივერსიტეტის სტუდენტთა 15% ხარისხის მაძიებელი საერთაშორისო სტუდენტია. კავკასიის უნივერსიტეტი გამორჩეულია ინკლუზიის, მრავალფეროვნების და თანასწორპრობის პოლიტიკით და მიდგომებით. უნივერსიტეტი მონაწილეობს გლობალურ კვლევით პროექტებში და ახდენს ცოდნის დისემინაციას საერთაშორისო ფორუმებსა და კონფერენციებზე, რაც დამატებით აძლიერებს უნივერსიტეტის რეპუტაციას. მრავალფეროვანი ენების სწავლება და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამები ამზადებს სტუდენტს და პროფესიულ სტუდენტს საერთაშორისო საზოგადოების ღირსეული წევრობისთვის. უნივერსიტეტი წარმოდგენილია საერთაშორისო, პრესტიჟულ რანჟირებაში, აქვს საერთაშორისო ინსტიტუციური შეფასება და მისი 10 პროგრამა საერთაშორისო აკრედიტაციის სააგენტოების მიერ არის აკრედიტებული.

# სტრატეგიული განვითარების გეგმა

კავკასიის უნივერსიტეტში განისაზღვრა სამი ძირითადი სტრატეგიული პრიორიტეტი (მიმართულება), რომლის შესრულებისკენაც განაგრძობს უნივერსიტეტი სვლას მომავალი შვიდი წლის (2020/21 – 2026/27 აკადემიური წლების) განმავლობაში:

- სამეცნიერო კვლევების ინტენსიფიკაცია და რელევანტობის გაზრდა
- სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება
- ინტერნაციონალიზაცია

ზემოაღნიშნულ სტრატეგიულ მიმართულებებთან თანხვედრაში განისაზღვრა კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული ამოცანების ძირითადი ნაწილი. ისინი განაწილებულია სტრატეგიული რუკის (იხ. სტრატეგიული რუკა, გვ. 11) 4 ნიშნულში: ფინანსური ნიშნული, მომხმარებელთა ნიშნული, პროცესების ნიშნული და რესურსების ნიშნული. თითოეული სტრატეგიული ამოცანისთვის დადგინდა საზომი ინდიკატორები. საზომი ინდიკატორები არის ის პარამეტრები, რომელთა მეშვეობითაც შემოწმდება ამოცანის შესრულება. ყველა ინდიკატორი არის გაზომვადი, რაც ხელს უწყობს სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების ეფექტურ მონიტორინგს.

# სტრატეგიული რუკა

პრიორიტეტული მიმართულებები		
სამეცნიერო კვლევები ინტენსიფიკაცია და რელევანტურობის გაზრდა	სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება	ინტერნაციონალიზაცია

ფინანსური ნიშნული	F1: ფინანსური მდგრადობა		F2: შემოსავლის ზრდა		F3: შემოსავლის დივერსიფიკაცია			
<b>მომხმარებელთა ნიშნული</b>	<b>C1:</b> სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის მაქსიმიზაცია (ოპტიმიზაცია) CU ყველა ლოკაციაზე საერთო შემოსავლის ზრდასთან მიმართებაში	<b>C2:</b> სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებში ჩართულობის გაზრდა	<b>C3:</b> ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება სტუდენტების დონეზე	<b>C4:</b> სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების უზრუნველყოფა და მათ კმაყოფილებაზე მუდმივი ზრუნვა-კონტროლი	<b>C5:</b> სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლის შენარჩუნება და დასაქმებაზე მუდმივი ზრუნვა-კონტროლი	<b>C6:</b> მაღალი აკადემიური პოტენციალისა და მოტივაციის მქონე სტუდენტთა კონტიგენტის მოზიდვაზე ზრუნვა-მხარდაჭერა		
<b>პროცესების ნიშნული</b>	<b>P1:</b> გაზრდის და საზოგადოების მოთხოვნებზე დაფუძნებული აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადგილობრივი და საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა	<b>P2:</b> კვლევითი საქმიანობის გაძლიერების ხელშეწყობა	<b>P3:</b> ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება საგანმანათლებლო პროგრამების დონეზე	<b>P4:</b> ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება კვლევითი საქმიანობის დონეზე	<b>P5:</b> უნივერსიტეტის მესამე მისიის შესაბამისად, გაზრდისა და საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით, პროგრამების/აქტივობების (მათ შორის ინოვაციური) შემუშავება-განხორციელება	<b>P6:</b> საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება და ხარისხის გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა-კონტროლი		
	<b>P7:</b> სტუდენტური ცხოვრების და სხვადასხვა პროექტების (სოციალური, სპორტული, კულტურული, შემეცნებითი, პროფესიული) მხარდაჭერა	<b>P8:</b> მართვის ელექტრონული სისტემების გაძლიერება	<b>P9:</b> სტუდენტური სერვისების და სტუდენტთა უფლებების დაცვის მექანიზმების განვითარება-სრულყოფა	<b>P10:</b> კავკასიის უნივერსიტეტის ბრენდის ცნობადობაზე, იმიჯზე და რეპუტაციაზე მუდმივი ზრუნვა ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე	<b>P11:</b> ორგანიზაციულ მართვაში ორგანიზაციული და ხარისხის კულტურის როლის გაძლიერება	<b>P12:</b> კურსდამთავრებულ ბთან მთელი სიცოცხლის მანძილზე (lifelong) კავშირის უზრუნველყოფა		
<b>რესურსების ნიშნული</b>	<b>R1:</b> მაღალკვალიფიციური, სწავლებასა და/ან პრაქტიკაში მრავალწლიანი ადგილობრივი და/ან საერთაშორისო გამოცდილების აკადემიური პერსონალის მოზიდვა-შენარჩუნებაზე მუდმივი ზრუნვა	<b>R2:</b> საგანმანათლებლო და/ან კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო საბიბლიოთეკო რესურსების განვითარება	<b>R3:</b> ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დონეზე	<b>R4:</b> აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო გარემოზე ზრუნვა და მათი პროფესიული განვითარების მუდმივი ხელშეწყობა	<b>R5:</b> ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო გარემოზე ზრუნვა და მათ პროფესიული განვითარების მუდმივი ხელშეწყობა	<b>R6:</b> აკად. და ადმინ. პერსონალის კმაყოფილების უზრუნველყოფა და პერსონალის კმაყოფილებაზე მუდმივი ზრუნვა-კონტროლი	<b>R7:</b> საგანმანათლებლო და/ან კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება	<b>R8:</b> უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება-გაფართოებაზე მიმართული მსხვილმასშტაბიანი პროექტების განხორციელება



ფინანსურ ნიშნულში თავსდება ის სტრატეგიული ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფინანსურ მიზნებთან. კავკასიის უნივერსიტეტში განისაზღვრა ფინანსური ნიშნულის სამი ძირითადი ამოცანა.

### F1: ფინანსური მდგრადობა

საზომი ინდიკატორები:

- პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR)
- საოპერაციო მოგების მარჟა (EBITDA Margin)
- უკუგება კაპიტალზე (ROE)
- წმინდა მოგების მარჟა (Net Profit Margin)

### F2: შემოსავლის ზრდა

საზომი ინდიკატორი:

- შემოსავლის ზრდის მაჩვენებელი

### F3: შემოსავლის დივერსიფიკაცია

საზომი ინდიკატორები:

- ახალი საინვესტიციო პროექტებიდან ფორმირებული შემოსავლის წილი
- ინდუსტრიის თანამშრომლობით მოზიდული თანხა (Industry Money)
- კვლევითი პროექტებიდან მოზიდული თანხა
- უცხოელი (არარეზიდენტი) სტუდენტებისგან მიღებული შემოსავალი

მომხმარებელთა ნიშნულში ერთიანდება ის ამოცანები, რომლებიც ფოკუსირებულია სტუდენტებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ ნიშნულში განისაზღვრა ექვსი ძირითადი ამოცანა.

### C1: სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის მაქსიმიზაცია (ოპტიმიზაცია) CU ყველა ლოკაციაზე საერთო შემოსავალის ზრდასთან მიმართებაში

საზომი ინდიკატორები:

- აქტიური სტუდენტების რაოდენობა 10 აპრილის მდგომარეობით
- აქტიური სტუდენტების რაოდენობა 10 ოქტომბრის მდგომარეობით
- მიღებულ სტუდენტთა რაოდენობა
- საბაკალავრო პროგრამაზე კონკურსის მაჩვენებელი
- საბაკალავრო პროგრამაზე პირველი არჩევანის რაოდენობა
- სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამაზე აპლიკანტთა რაოდენობა
- სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამაზე კონკურსის მაჩვენებელი
- სტუდენტების საერთო რაოდენობა (აქტიურ და პასიური სტატუსის მქონე) 10 აპრილის მდგომარეობით
- სტუდენტების საერთო რაოდენობა (აქტიურ და პასიური სტატუსის მქონე) 10 ოქტომბრის მდგომარეობით
- ხარისხის მაძიებელი საერთაშორისო სტუდენტების მიღების რაოდენობა გაზაფხულის სემესტრში
- ხარისხის მაძიებელი საერთაშორისო სტუდენტების მიღების რაოდენობა შემოდგომის სემესტრში

### C2: სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებში ჩართულობის გაზრდა

საზომი ინდიკატორი:

- აკადემიური წერის ცენტრის მიერ შემოწმებული ნაშრომების რაოდენობა
- დადგენილი პლაგიატის შემთხვევების რაოდენობა
- კვლევით პროექტებში ჩართული სტუდენტების რაოდენობა
- სამეცნიერო სასკოლო კონფერენციებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა

### C3: ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება სტუდენტების დონეზე

საზომი ინდიკატორები:

- ბილატერალურ (Bilateral) გაცვლით პროგრამაში სტუდენტთა მობილობის (incoming) რაოდენობა
- ბილატერალურ (Bilateral) გაცვლით პროგრამაში სტუდენტთა მობილობის (outgoing) რაოდენობა
- ერაზმუს + (erasmus +) გაცვლით პროგრამაში სტუდენტთა მობილობის (incoming) რაოდენობა
- ერაზმუს+ (Erasmus +) გაცვლით პროგრამაში სტუდენტთა მობილობის (outgoing) რაოდენობა
- მოკლევადიან საერთაშორისო პროგრამებში (საზაფხულო პროგრამები, მოკლევადიანი სასწავლო კურსები, საერთაშორისო კონკურსები) მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა (outgoing)
- მოკლევადიან საერთაშორისო პროგრამებში (საზაფხულო პროგრამები, მოკლევადიანი სასწავლო კურსები, საერთაშორისო კონკურსები) მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა (incoming)
- უცხოელი სტუდენტების ინტეგრაციასთან დაკავშირებული განხორციელებული სოციალური აქტივობების რაოდენობა
- ხარისხის მაძიებელი აქტიური სტატუსის საერთაშორისო სტუდენტთა რაოდენობა

### C4: სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების უზრუნველყოფა და სტუდენტთა კმაყოფილებაზე მუდმივი ზრუნვა-კონტროლი

საზომი ინდიკატორები:

- ლექტორების მიერ წარმართული სასწავლო პროცესით კმაყოფილების მაჩვენებელი
- რეკომენდაციის მაჩვენებელი (Net Promoters Score - NPS)
- საგანმანათლებლო პროგრამით კმაყოფილების მაჩვენებელი
- სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი კავკასიის უნივერსიტეტით

### C5: სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლის შენარჩუნება და დასაქმებაზე მუდმივი ზრუნვა-კონტროლი

საზომი ინდიკატორები:

- დამსაქმებლებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების რაოდენობა



- დამსაქმებლების მიერ მოწოდებული ვაკანსიების/სტაჟირებების შეთავაზებების რაოდენობა
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი
- პროფესიით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი
- სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი
- სწავლების დამთავრებიდან სამი წლის შემდგომ კურსდამთავრებულების კარიერული წინსვლის მაჩვენებელი
- სწავლების დამთავრებიდან სამი წლის შემდგომ კურსდამთავრებულების ხელფასის მატების მაჩვენებელი

### C6: მაღალი აკადემიური პოტენციალისა და მოტივაციის მქონე სტუდენტთა კონტიგენტის მოზიდვაზე ზრუნვა-მხარდაჭერა

საზომი ინდიკატორები:

- CU-ს სწავლების შიდადაფინანსების მიმღები სტუდენტების რაოდენობა
- ეროვნულ გამოცდებში საუკეთესო 501 სტუდენტში მოხვედრილი ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა
- საბაკალავრო პროგრამაზე 100%-იანი გრანტის მფლობელ სტუდენტთა რაოდენობა
- საბაკალავრო პროგრამაზე 50%-იანი გრანტის მფლობელ სტუდენტთა რაოდენობა
- საბაკალავრო პროგრამაზე 70%-იანი გრანტის მფლობელ სტუდენტთა რაოდენობა
- საბაკალავრო პროგრამებზე მიღებულ სტუდენტთა საშუალო ქულის მაჩვენებელი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე
- სამაგისტრო პროგრამაზე სახელმწიფო გრანტის მფლობელ სტუდენტთა რაოდენობა
- სამაგისტრო პროგრამებზე მიღებულ სტუდენტთა საშუალო ქულის მაჩვენებელი საერთო სამაგისტრო გამოცდებზე

პროცესების ნიშნულში გაწერილია სტრატეგიული ამოცანები, რომლებიც მიმართულია უნივერსიტეტის გამართული ფუნქციონირებისთვის, საგანმანათლებლო, კვლევითი საქმიანობის, სტუდენტური სერვისების, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის სამუშაო პროცესების სრულყოფისაკენ.

**P1: ბაზრის და საზოგადოების მოთხოვნებზე დაფუძნებული აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადგილობრივი და საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა**

საზომი ინდიკატორები:

- მიმდინარე აკადემიურ წელს (რე)აკრედიტაციისას მიღებული შეფასებების მაჩვენებელი სტანდარტებთან მიმართებაში
- მიმდინარე აკადემიურ წელს (რე)აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა
- მიმდინარე აკადემიურ წელს საერთაშორისო (რე)აკრედიტაციის მქონე პროგრამების რაოდენობა
- მიმდინარე აკადემიურ წელს საერთაშორისო (რე)აკრედიტაციისას მიღებული შეფასებების მაჩვენებელი სტანდარტებთან მიმართებაში

**P2: კვლევითი საქმიანობის გაძლიერების ხელშეწყობა**

საზომი ინდიკატორები:

- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილე აკადემიური პერსონალის რაოდენობა
- EBSCO-ს ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზის მოხმარების მაჩვენებელი
- Legal Source-ის ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზის მოხმარების მაჩვენებელი
- ScienceDirect - ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზის მოხმარების მაჩვენებელი
- Scopus - ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზის მოხმარების მაჩვენებელი
- Taylor and Francis-ის ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზის მოხმარების მაჩვენებელი
- გამოქვეყნებული პროფესიული წიგნების რაოდენობა
- ინდუსტრიასთან თანამშრომლობით კვლევითი პროექტების რაოდენობა
- კვლევითი აქტივობების დაფინანსების ზრდის მაჩვენებელი
- კვლევის შიდასაუნივერსიტეტო კონკურსში დაფინანსებული პროექტების რაოდენობა

- კვლევის შიდასაუნივერსიტეტო კონკურსში წარდგენილი პროექტების რაოდენობა
- მიღებული პატენტების რაოდენობა
- მომზადებული საერთაშორისო საგრანტო კვლევითი პროექტების რაოდენობა
- სამეცნიერო და პროფესიულ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა
- შედგენილი ქეისის/კაზუსის რაოდენობა
- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარდგენილი პროექტების რაოდენობა
- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების რაოდენობა

### P3: ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება საგანმანათლებლო პროგრამების დონეზე

საზომი ინდიკატორები:

- მიმდინარე აკადემიურ წელს (რე)აკრედიტებული ერთობლივი პროგრამების რაოდენობა (Dual degree or/and double degree or/and joint degree)
- მიმდინარე აკადემიურ წელს (რე)აკრედიტებული უცხოენოვანი პროგრამების რაოდენობა
- მიმდინარე აკადემიურ წელს ერთობლივი პროგრამების (რე)აკრედიტაციისას მიღებული შეფასებების მაჩვენებელი სტანდარტებთან მიმართებაში
- მიმდინარე აკადემიურ წელს უცხოენოვანი პროგრამების (რე)აკრედიტაციისას მიღებული შეფასებების მაჩვენებელი სტანდარტებთან მიმართებაში

### P4: ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება კვლევითი საქმიანობის დონეზე

საზომი ინდიკატორები:

- საერთაშორისო კვლევითი პროექტების რაოდენობა
- საერთაშორისო ჟურნალებში (ციტირებისა და აბსტრაქტების მონაცემთა ბაზებში ინდექსირებულ) პუბლიკაციების რაოდენობა
- საერთაშორისო აკადემიურ კონფერენციებში მონაწილე აკადემიური პერსონალის რაოდენობა
- კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა
- საერთაშორისო კვლევითი (Joint research) კოლაბორაციის რაოდენობა



P5: უნივერსიტეტის მესამე მისიის შესაბამისად, ბაზრისა და საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით, პროგრამების/აქტივობების (მათ შორის ინოვაციური) შემუშავება-განხორციელება

საზომი ინდიკატორები:

- ახალი პროექტების (მათ შორის ინოვაციური) რაოდენობა
- ახალი საგრანტო სტარტაპ-პროექტების შეტანილი განაცხადების რაოდენობა
- დაფინანსებული სტარტაპ-პროექტების რაოდენობა
- საზოგადოებაზე დადებითი ზეგავლენის მქონე პროექტების რაოდენობა
- საზოგადოების ჩართულობის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა
- სამეწარმეო/საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულ პირთა რაოდენობა
- ტრენინგების რაოდენობა ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე
- უწყვეტი განათლების მიმართულებით ჩტარებულ ღონისძიებათა რაოდენობა
- ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემის მიმართულებით ღონისძიებების რაოდენობა

P6: საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება და ხარისხის გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა-კონტროლი

საზომი ინდიკატორები:

- 20%-ზე მეტი "F" - სასწავლო კურსების რაოდენობის მაჩვენებელი
- CU გრანტის მფლობელთა GPA
- კურსდამამთავრებელთა GPA-ის მაჩვენებელი
- ლექტორების მხრიდან მასალის გასაგებად ახსნის მაჩვენებელი
- ლექტორების მხრიდან საგნის სიღრმისეული ცოდნის მაჩვენებელი
- პროგრამის სტანდარტულ დროში დასრულების რაოდენობრივი მაჩვენებელი
- საბაკალავრო სტუდენტების I ეტაპის სტუდენტების GPA
- საბაკალავრო სტუდენტების II ეტაპის სტუდენტების წლიური GPA საბაკალავრო სტუდენტების III ეტაპის სტუდენტების წლიური GPA
- საბაკალავრო სტუდენტების IV ეტაპის სტუდენტების წლიური GPA
- საგანმანათლებლო პროგრამების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი
- სადოქტოროს დაცვების ხარისხის მაჩვენებელი
- სახელმიწფო გრანტის მფლობელთა GPA
- სტუდენტების კუმულაციური GPA საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე
- უნივერსიტეტიდან გარე მობილობის რაოდენობრივი მაჩვენებელი (Outgoing) გაზაფხულის სემესტრში

- უნივერსიტეტიდან გარე მობილობის რაოდენობრივი მაჩვენებელი (Outgoing) შემოდგომის სემესტრში
- უნივერსიტეტში მობილობით გადმოსულთა რაოდენობა (Incoming) გაზაფხულის სემესტრში
- უნივერსიტეტში მობილობით გადმოსულთა რაოდენობა (Incoming) შემოდგომის სემესტრში

**P7: სტუდენტური ცხოვრების და სხვადასხვა პროექტების (სოციალური, სპორტული, კულტურული, შემეცნებითი, პროფესიული) მხარდაჭერა**

საზომი ინდიკატორები:

- დაფინანსებული სტუდენტური პროექტების რაოდენობა
- სტუდენტური კულტურული ღონისძიებების რაოდენობა
- სტუდენტური სოციალური ღონისძიებების რაოდენობა
- სტუდენტური სპორტული ღონისძიებების რაოდენობა
- სტუდენტური შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონისძიებების რაოდენობა

**P8: მართვის ელექტრონული სისტემების გაძლიერება**

საზომი ინდიკატორები:

- სტუდენტის პირადი პროფილის გვერდის მოხმარების კმაყოფილების მაჩვენებელი
- ლექტორის პირადი პროფილის გვერდის მოხმარების კმაყოფილების მაჩვენებელი
- ადმინისტრაციის სასაწავლო პროცესის მართვის სისტემის მოხმარების კმაყოფილების მაჩვენებელი

**P9: სტუდენტური სერვისების და სტუდენტთა უფლებების დაცვის მექანიზმების განვითარება-სრულყოფა**

საზომი ინდიკატორები:

- შეცვლილი შეფასების რაოდენობა
- ლექტორების მიერ გაცდენილი ლექცია-სემინარების რაოდენობა
- ვადაგადაცილებით შეტანილი ნიშნების რაოდენობა
- ვადაგადაცილებით შევსებული სილაბუსების რაოდენობა
- ლექტორების მიერ არასრულად ჩატარებული ლექცია-სემინარების რაოდენობა

- გაპროტესტებული საგამოცდო ნაშრომების რაოდენობა

**P10: კავკასიის უნივერსიტეტის ბრენდის ცნობადობაზე, იმიჯზე და რეპუტაციაზე მუდმივი ზრუნვა ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე**

საზომი ინდიკატორები:

- CU ინსტაგრამ გვერდის გამომწერების რაოდენობა
- CU იუთუბ არხის გამომწერების რაოდენობა
- CU ლინკდინის გვერდის გამომწერების რაოდენობა
- CU ტვიტერის გვერდის გამომწერების რაოდენობა
- CU ტიკტოკის გვერდის გამომწერების რაოდენობა
- CU ფეისბუქის გვერდის გამომწერების რაოდენობა
- Erasmus + საერთაშორისო პარტნიორების არსებული რაოდენობა
- ახალი Erasmus + და ბილატერალური საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობა
- ახალი Erasmus + საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობა
- ახალი ბილატერალური საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობა
- ბილატერალური საერთაშორისო პარტნიორების არსებული რაოდენობა
- ბრენდის ცნობადობის დონის მაჩვენებელი
- განათლების ავტორიტეტულ სარეიტინგო სისტემებში უნივერსიტეტის და/ან სკოლების და/ან პროგრამების პოზიციის მაჩვენებელი
- განათლების ავტორიტეტულ სარეიტინგო სისტემებში უნივერსიტეტის პოზიციის მაჩვენებელი
- განათლების საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის რაოდენობა
- კავკასიის უნივერსიტეტის ვებ-გვერდის გამომწერების რაოდენობა
- მედია დაფარვის რაოდენობრივი მაჩვენებელი
- საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობის რაოდენობა
- საერთაშორისო პარტნიორების (ბილატერალური და Erasmus +) რაოდენობა

**P11: ორგანიზაციულ მართვაში ორგანიზაციული და ხარისხის კულტურის როლის გაძლიერება**

საზომი ინდიკატორები:

- ორგანიზაციული კულტურის მაჩვენებელი
- უნივერსიტეტის ტოპ-მენეჯმენტის შეხვედრების რაოდენობის მაჩვენებელი დაინტერესებულ მხარეებთან (სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ადმინისტრაციული პერსონალი)

## P12: კურსდამთავრებულებთან მთელი სიცოცხლის მანძილზე (lifelong) კავშირის უზრუნველყოფა

საზომი ინდიკატორები:

- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალში კურსდამთავრებულის რაოდენობის მაჩვენებელი
- კურსდამთავრებულების მიერ ინიცირებული პროექტების რაოდენობა
- კურსდამთავრებულებისთვის შეთავაზებული ღონისძიებების მაჩვენებელი
- კურსდამთავრებულთა მონაწილეობით ექსტრაკურსულარული აქტივობების (სტუმრის საათი, საჯარო ლექცია, აბიტურიენტებთან შეხვედრა) რაოდენობის მაჩვენებელი
- საუნივერსიტეტო ღონისძიებებში კურსდამთავრებულების მონაწილეობის მაჩვენებელი

## რესურსების ნიშნულის ამოცანები

რესურსების ნიშნულში გაწერილია სტრატეგიული ამოცანები, რომლებიც ეხება იმ ძირითად რესურსებს, რაც საჭიროა საგანმანათლებლო და კვლევითი აქტივობების გამართული მიმდინარეობისთვის. ამ ნიშნულში განისაზღვრა რვა ძირითადი სტრატეგიული ამოცანა.

## R1: მაღალკვალიფიციური, სწავლებასა და/ან პრაქტიკაში მრავალწლიანი ადგილობრივი და/ან საერთაშორისო გამოცდილების აკადემიური პერსონალის მოზიდვა-შენარჩუნებაზე მუდმივი ზრუნვა

საზომი ინდიკატორები:

- აკადემიურ პროგრამაზე მომსახურე A ტიპის ხელშეკრულების მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა
- აკადემიურ პროგრამაზე მომსახურე B ტიპის ხელშეკრულების მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა
- აკადემიურ პროგრამაზე მომსახურე C ტიპის ხელშეკრულების მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა
- მიმდინარე აკადემიურ წელს აყვანილი (აფილირებული) აკადემიური პერსონალის რაოდენობა

- მიმდინარე აკადემიურ წელს ახალი მოწვეული პერსონალის რაოდენობის მაჩვენებელი
- სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა
- სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა
- სკოლის დონეზე A ტიპის ხელშეკრულებით აყვანილი აკადემიური პერსონალის რაოდენობა
- სკოლის დონეზე B ტიპის ხელშეკრულებით აყვანილი აკადემიური პერსონალის რაოდენობა
- სკოლის დონეზე C ტიპის ხელშეკრულებით აყვანილი აკადემიური პერსონალის რაოდენობა
- სკოლის დონეზე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა
- ტრენინგ ცენტრის ტრენერთა რაოდენობა
- უნივერსიტეტის დონეზე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა

## R2: საგანმანათლებლო და/ან კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო საბიბლიოთეკო რესურსების განვითარება

საზომი ინდიკატორები:

- ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების რაოდენობა
- ელექტრონული წიგნების ფონდის რაოდენობა
- წიგნადი ფონდის რაოდენობა

## R3: ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დონეზე

საზომი ინდიკატორები:

- გაცვლით პროგრამებში მონაწილე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა (outgoing)
- გაცვლით პროგრამებში მონაწილე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა (incoming)
- გაცვლით პროგრამებში მონაწილე აკადემიური პერსონალის რაოდენობა (incoming)
- გაცვლით პროგრამებში მონაწილე აკადემიური პერსონალის რაოდენობა (outgoing)
- სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური და/ან მოწვეული პერსონალის რაოდენობა
- უცხოელი ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა



#### R4: აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო გარემოზე ზრუნვა და მათი პროფესიული განვითარების მუდმივი ხელშეწყობა

საზომი ინდიკატორი:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის განმავითარებელი ღონისძიებების (ვორკშოპები, ტრენინგები) რაოდენობა
- განმავითარებელ ღონისძიებებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა

#### R5: ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო გარემოზე ზრუნვა და მათ პროფესიულ განვითარების მუდმივი ხელშეწყობა

საზომი ინდიკატორები:

- ადმინისტრაციული პერსონალისთვის განმავითარებელი ღონისძიებების (ვორკშოპები, ტრენინგები) რაოდენობა
- განმავითარებელ ღონისძიებებში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა
- პროფესიულ ტრენინგებში მონაწილე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა
- შესრულებული სამუშაოს შეფასების მაჩვენებელი (360-იანი შეფასება)

#### R6: აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების უზრუნველყოფა და პერსონალის კმაყოფილებაზე მუდმივი ზრუნვა-კონტროლი

საზომი ინდიკატორები:

- ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებელი
- ადმინისტრაციული პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი (Retention Rate)
- აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი (Retention Rate)
- არააფილირებული აკადემიური პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებელი
- აფილირებული აკადემიური პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებელი
- მოწვეული პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებელი
- მოწვეული პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი (Retention Rate)

#### R7: საგანამართლებლო და/ან კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება

საზომი ინდიკატორები:

- კვლევითი ცენტრების რაოდენობა
- ლაბორატორიების რაოდენობა
- პროფესიული უნარების გასავითარებელი იმიტირებული სივრცეების რაოდენობა

R8: უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება-გაფართოებაზე მიმართული მსხვილმასშტაბიანი პროექტების განხორციელება

საზომი ინდიკატორები:

- ახალი ბიბლიოთეკის შენობის გახსნამდე მზაობის მაჩვენებელი
- ბათუმის ახალი კამპუსის გახსნამდე მზაობის მაჩვენებელი
- გურჯაანში CAG (Caucasus Academy of Gastronomy) კავკასიის გასტრონომიის აკადემიის გახსნამდე მზაობის მაჩვენებელი
- დუბაიში კავკასიის უნივერსიტეტის ფილიალის გახსნამდე მზაობის მაჩვენებელი
- კავკასიის უნივერსიტეტის დუბაის ტრენინგ ცენტრის გახსნამდე მზაობის მაჩვენებელი
- თბილისის ახალი კამპუსის მზაობის მაჩვენებელი

## 2023/24 – 2025/26 სამოქმედო გეგმა

კავკასიის უნივერსიტეტის 3-წლიანი სამოქმედო გეგმის (2020/21-2022/23) დასრულებისთანავე განხორციელდა გეგმის შესრულების კომპლექსური ანალიზი, რის საფუძველზეც შეიქმნა ახალი სამ წლიანი (2023/24-2025/26) გეგმა. სკოლებისა და დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილი წლიური ანგარიშების საფუძველზე გაანალიზდა საანგარიშო პერიოდში შესრულებული აქტივობები და გადაიხედა სტრატეგიული ამოცანების მიღწევის საზომები.

უნივერსიტეტის მმართველობასთან და ფართო საზოგადოებასთან თანამშრომლობით შემუშავდა მომდევნო სამ წლიანი სამოქმედო გეგმა მოდიფიცირებული სტრატეგიული ამოცანებით, განახლებული აქტივობებითა და საზომი ინდიკატორებით, განისაზღვრა სამიზნე ნიშნულების შეყვანაზე პასუხისმგებელი პირები, გამოირიცხა სტრუქტურული ერთეულების დაუბლირება, გაიმართა სტრატეგიის განხორციელებისა და მონიტორინგის ონლაინ პლატფორმა, რამაც უზრუნველყო სკოლებისა და დეპარტამენტების მულტიფუნქციური საქმიანობის ზუსტი აღრიცხვა და ანალიზი.

აღსანიშნავია, რომ სამწლიანი გეგმის შესრულებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კოვიდ პანდემიამ. უნივერსიტეტი სამწლიანი გეგმის პირველი წლის (2020-2021) განმავლობაში იმყოფებოდა ონლაინ სამუშაო რეჟიმში, რამაც ასახვა ჰპოვა რიგი აქტივობების შესრულებასა და საზომი ინდიკატორების მაჩვენებლებზე.

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე ცვლილებებმა და უნივერსიტეტის ამბიციებმა ლოკალურად და გლობალურად მიმდინარე გამოწვევებთან მიმართებით, ახალი მიზნები და აქტივობები გააჩინა სამოქმედო გეგმაში.

განახლებული სამოქმედო გეგმა ინარჩუნებს მოქნილობას და ღიაა მიმდინარე ცვლილებების განსახორციელებლად.

C1: სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის მაქსიმიზაცია (ოპტიმიზაცია) CU ყველა ლოკაციაზე  
საერთო შემოსავალის ზრდასთან მიმართებაში

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2023/24	2024/25	2025/26	
საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვების გაანალიზება	●	●	●	კვლევისა და მონაცმთა ანალიზის სამსახური
მომავალი აკადემიური წლის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისთვის ფასების გნასაზღვრა	●	●	●	ფინანსური დეპარტამენტი
საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამების სარეკლამო ბეჭდური და ელექტრონული მასალის მომზადება	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებათან ურთიერთობის დეპარტამენტი
საბაკალავრო საფეხურის პროგრამების პრეზენტაციის ჩატარება საჯარო და კერძო სკოლებში თბილისსა და რეგიონებში	●	●	●	სკოლები; მარკეტინგისა და საზოგადოებათან ურთიერთობის დეპარტამენტი
საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება კამპუსში აბიტურიენტთათვის	●	●	●	სკოლები; მარკეტინგისა და საზოგადოებათან ურთიერთობის დეპარტამენტი
საბაკალავრო პროგრამებზე მიმდინარე შემოხაზვების ანალიზი და რეაგირება	●	●	●	კვლევისა და მონაცმთ ანალიზის სამსახური
თბილისისა და რეგიონების სკოლებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებათან ურთიერთობის დეპარტამენტი
სარეკლამო აქტივობების განხორციელება ონლაინ, სოციალურ და ბეჭდურ მედიაში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შესახებ	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებათან ურთიერთობის დეპარტამენტი
სამაგისტრო საფეხურის პროგრამების პრეზენტაციების ჩატარება კომპანიებში	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებათან ურთიერთობის დეპარტამენტი
საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება სამაგისტრო პროგრამების გაცნობის მიზნით კამპუსში	●	●	●	სკოლები; მარკეტინგისა და საზოგადოებათან ურთიერთობის დეპარტამენტი
კონკურსების, ტრენინგების, ვორკშოპების, ლექციების ორგანიზება აბიტურიენტებისთვის	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებათან ურთიერთობის დეპარტამენტი
პროფესიულ სტუდენტთა მოზიდვის მიზნით, საინფორმაციო კამპანიის წარმართვა	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებათან ურთიერთობის დეპარტამენტი
კონტინგენტის გაზრდის პროცესის მართვა	●			ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი

## C2: სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებში ჩართულობის გაზრდა

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2023/24	2024/25	2025/26	
სტუდენტების ინფორმირება სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების (კონფერენციები, კვლევითი პროექტები, კვლევითი სტიპენდიები და ა. შ.) შესახებ	●	●	●	კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი
შიდა სასკოლო სტუდენტური კონფერენციის ორგანიზება-ჩატარება	●	●	●	სკოლები; კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი
სტუდენტთა კვლევითი უნარების გაძლიერება ტრენინგებითა და ვორკშოპებით	●	●	●	კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი; სკოლები
აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ტრენინგების ჩატარება	●	●	●	აკადემიური წერის ცენტრი



C3: ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება სტუდენტების დონეზე

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2023/24	2024/25	2025/26	
სტუდენტების ინფორმირება გაცვლითი პროგრამების შესახებ	●	●	●	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
ახალი პარტნიორების (ერასმუს+ და ბილატერალური) მოძიება და არსებულის შენარჩუნება	●	●	●	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი; სკოლები
გაცვლითი პროგრამების ფარგლებში სტუდენტების დახმარების უზრუნველყოფა კონკურსისა და მობილობის პროცესში (before the mobility, during the mobility, after the mobility მომსახურების გაწევა)	●	●	●	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
უცხოელ სტუდენტთათვის მხარდამჭერი მომსახურების გაწევა (სავიზო პროცედურები, კურსების კატალოგი, ღონისძიებები, აკადემიურ პროცესში ინტეგრირება, და ა. შ.)	●	●	●	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
საერთაშორისო საზაფხულო სკოლების ორგანიზება			●	სკოლები; საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელება		●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებათან ურთიერთობის დეპარტამენტი
უცხოელი სტუდენტების ინტეგრაციასთან დაკავშირებულ აქტივობების განხორციელება სოციალური აქტივობების ნაწილში	●	●	●	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

**C4: სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების უზრუნველყოფა და სტუდენტთა კმაყოფილებაზე მუდმივი ზრუნვა-კონტროლი**

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2023/24	2024/25	2025/26	
საერთო კმაყოფილების გამოკითხვის ჩატარება სტუდენტებში და მიღებული მონაცემების ანალიზი	●	●	●	კვლევისა და მონაცემთა ანალიზის სამსახური
საერთო კმაყოფილების გამოკითხვის შედეგებზე რეაგირება	●	●	●	სკოლები; ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი
საგანმანათლებლო პროგრამებით კმაყოფილების კითხვარით გამოკითხვის ჩატარება და ანალიზი	●	●	●	ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი
საგანმანათლებლო პროგრამებით კმაყოფილების გამოკითხვის შედეგებზე რეაგირება	●	●	●	სკოლები
აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული შეფასების ჩატარება და შედეგების ანალიზი	●	●	●	ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი
აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული შეფასების შედეგებზე რეაგირება	●	●	●	სკოლები
შიდა და გარე მობილობით გადამსვლელ სტუდენტებთან ინდივიდუალური შეხვედრების გამართვა, გადასვლის მიზეზების დადგენა და რეაგირება	●	●	●	სკოლები
სტატუს-შეჩერებული სტუდენტების მიზეზების გამოკვლევა და რეაგირება	●	●	●	სკოლები
სტუდენტებთან სემესტრული შეხვედრების გამართვა, მათი პრობლემებისა და ინტერესების მოსმენა და რეაგირება	●	●	●	სკოლები
ტრენინგ ცენტრის პროფესიულ სტუდენტთა რეგულარული გამოკითხვა	●	●	●	კვლევისა და მონაცემთა ანალიზის სამსახური
გასტრონომიის აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა რეგულარული გამოკითხვა			●	კვლევისა და მონაცემთა ანალიზის სამსახური

C5: სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლის შენარჩუნება და დასაქმებაზე მუდმივი ზრუნვა-კონტროლი

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2023/24	2024/25	2025/26	
სტაჟირების და დასაქმების შეთავაზებებისა და შეტყობინებების გავრცელება	●	●	●	კარიერული განვითარებისა და ხელშეწყობის სამსახური
დასაქმების ფორუმების ჩატარება დარგების მიხედვით	●	●	●	კარიერული განვითარებისა და ხელშეწყობის სამსახური
კარიერული წინსვლისთვის საჭირო უნარების განმავითარებელი ღონისძიებების (საჯარო შეხვედრა, მასტერკლასი, მოწვეული სპიკერის (Guest Speaker) სტუმრობა) ორგანიზება-ჩატარება	●	●	●	კარიერული განვითარებისა და ხელშეწყობის სამსახური
სტაჟირებებისა და სამსახურის ვაკანსიების კუთხით ახალი პარტნიორი კომპანიების მოძიება და არსებულთან თანამშრომლობის შენარჩუნება	●	●	●	კარიერული განვითარებისა და ხელშეწყობის სამსახური, სკოლები
სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის ჩატარება და შედეგების ანალიზი	●	●	●	კვლევისა და მონაცემთა ანალიზის სამსახური
სტუდენტთა დასაქმების კვლევის შედეგებზე რეაგირება	●	●	●	კარიერული განვითარებისა და ხელშეწყობის სამსახური, სკოლები
კურსდამთავრებულთა ბაზის განახლება	●	●	●	სტუდენტური ღონისძიებებისა და კურსდამთავრებულთან ურთიერთობის სამსახური
გასტრონომიის აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგი			●	კარიერული განვითარებისა და ხელშეწყობის სამსახური

C6: მაღალი აკადემიური პოტენციალისა და მოტივაციის მქონე სტუდენტთა კონტიგენტის მოზიდვაზე ზრუნვა-მხარდაჭერა

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2023/24	2024/25	2025/26	
მოქმედი დაფინანსების მექანიზმების (ტოპ-501, CU გრანტი) ოპტიმიზაცია	●	●	●	ფინანსების მართვის დეპარტამენტი
მაღალქულიანი აპლიკანტების შესახებ საინტერესო კონტენტის შექმნა და გავრცელება საკომუნიკაციო არხებში	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
წარმატების ისტორიების შესახებ საინტერესო კონტენტის შექმნა და გავრცელება	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
გრანტის მფლობელი სტუდენტების ანალიზი	●	●	●	კვლევისა და მონაცემთა ანალიზის სამსახური
შიდა კონკურსებში გამარჯვებულ აბიტურიენტთათვის ვაუჩერების დაწესება და ოდენობის განსაზღვრა	●	●	●	ფინანსების მართვის დეპარტამენტი
მოქმედი სტუდენტების რეიტინგული დაფინანსების ოპტიმიზაცია	●	●	●	ფინანსების მართვის დეპარტამენტი

PI: ბაზრის და საზოგადოების მოთხოვნებზე დაფუძნებული აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადგილობრივი და საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2023/24	2024/25	2025/26	
(რე)აკრედიტაციისთვის პროგრამების მომზადება და აკრედიტაციის მიღება	●	●	●	სკოლები, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი
AACSB აკრედიტაციისთვის მომზადება	●	●	●	კავკასიის ბიზნეს სკოლა CSB; საერთაშორისო აკრედიტაციის სამსახური
RIBA-ს მიღებული ვალიდაციის მხარდაჭერა	●	●	●	კავკასიის არქიტექტურის სკოლა CSA; საერთაშორისო აკრედიტაციის სამსახური
TEDQUAL-ის რეაკრედიტაციის მხარდაჭერა	●	●		კავკასიის ტურიზმის სკოლა CTS, საერთაშორისო აკრედიტაციის სამსახური
ბაზრის ანალიზი და უნივერსიტეტის დაინტერესებული მხარეების ჩართულობა პროგრამების გაუმჯობესების მიზნით	●	●	●	სკოლები, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი
კავკასიის უნივერსიტეტში არსებული მიმართულებებისთვის (სკოლებისთვის) საერთაშორისო აკრედიტაციების მოძიება, მათი დადებითი-უარყოფითი მხარეების შეფასება	●	●	●	საერთაშორისო აკრედიტაციების სამსახური
ავტორიზაციისთვის პროფესიული პროგრამების მომზადება და ავტორიზაციის მიღება		●		CAG (Caucasus Academy of Gastronomy) კავკასიის გასტრონომიის აკადემია
ტრენინგ პროგრამების მომზადება და დუბაიში ლიცენზიის მიღება	●	●		კავკასიის ტრენინგ ცენტრი დუბაიში



P2: კვლევითი საქმიანობის გაძლიერების ხელშეწყობა

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2023/24	2024/25	2025/26	
ახალი თაობის კონტრაქტების დანართებში დაფიქსირებული კვლევითი საქმიანობის განხორციელების მონიტორინგი	●	●	●	სკოლები; კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი
აკადემიური პერსონალის და მოწვეული ლექტორების, დოქტორანტების, ინფორმირება სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების (კონფერენციები, კვლევითი პროექტები, კვლევითი სტიპენდიები და ა. შ.) შესახებ	●	●	●	კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი
კვლევის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების სისტემის ფუნქციონირება და გაუმჯობესებაზე ზრუნვა	●	●	●	კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი
კვლევითი უნარების განმავითარებელი ღონისძიებების ჩატარება	●	●	●	კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი
ტრენინგებისა და საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზება-გამართვა სამეცნიერო ბაზების მოხმარებასთან დაკავშირებით	●	●	●	ბიბლიოთეკა; კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი
მკვლევარების ინდუსტრიასთან დაკავშირების მხადაჭერა	●	●	●	სკოლები, კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი
პოსტ დოქტორანტურის სისტემის განვითარება			●	კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი, სკოლები
დოქტორანტების ტრანსფერული უნარების განვითარების მხარდაჭერი ღონისძიებების უზრუნველყოფა	●	●	●	კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი
სტუდენტური კვლევითი ინიციატივების მხარდაჭერი სისტემის ფუნქციონირება	●	●	●	კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი;
სამეცნიერო ჟურნალების შექმნა		●		კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი,
ციფრული რეპოზიტორის მუდმივი განახლება-გაუმჯობესება	●	●	●	კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი

P3: ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება საგანმანათლებლო პროგრამების დონეზე

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2023/24	2024/25	2025/26	
არსებულ აკრედიტებულ ქართულენოვან პროგრამებში უცხოენოვანი კურსების შექმნა	●	●	●	სკოლები
ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ინფორმირება გაცვლითი პროგრამების შესახებ	●	●	●	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
International Staff Week-ერასმუსის და ბილატერალური პარტნიორების წარმომადგენლებისთვის კვირეულის ჩატარება	●	●	●	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მხარდაჭერა საერთაშორისო მოზილობის პროცესში (incoming and outgoing)	●	●	●	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
ერთობლივი პროგრამებისთვის ახალი პარტნიორების მოძიება	●	●	●	სკოლები, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
მოკლევადიანი პროგრამების (საზაფხულო სკოლა, ისწავლე უცხოეთში და ა. შ.) ინიცირება, შექმნა, ინფორმაციის გავრცელება	●	●	●	სკოლები; საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
რეკრუიტმენტ სააგენტოებთან თანამშრომლობა უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზნით	●	●	●	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
განათლების საერთაშორისო გამოფენებზე მონაწილეობის მიღება	●	●	●	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
სტუდენტების საერთაშორისო ქსელებსა და ორგანიზაციებში გაწევრიანების მხარდაჭერა	●	●	●	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი; სკოლები
უცხოური ქვეყნების განათლების სამინისტროებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამების აღიარებაზე მუშაობა	●	●	●	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი; ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი; საერთაშორისო აკრედიტაციის სამსახური
პროფესიული პროგრამებისთვის საერთაშორისო პარტნიორების მოძიება			●	CAG (Caucasus Academy of Gastronomy) კავკასიის გასტრონომიის აკადემია; ტრენინგ ცენტრი; საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

P4: ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება კვლევითი საქმიანობის დონეზე

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2023/24	2024/25	2025/26	
საერთაშორისო კვლევით საგრანტო შესაძლებლობებზე ინფორმაციის მოძიება და გავრცელება	●	●	●	პროექტების მართვის დეპარტამენტი; კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი
საერთაშორისო კვლევის მიმართულებით ახალი პარტნიორების მოძიება და ხელშეკრულებების გაფორმება	●	●	●	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი; სკოლები
საერთაშორისო საგრანტო განაცხადის მომზადებაში აკადემიური პერსონალისთვის დახმარების გაწევა	●	●	●	პროექტების მართვის დეპარტამენტი
ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება კავკასიის უნივერსიტეტში	●	●	●	კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი
საერთაშორისო კონფერენციებში აკადემიური, მოწვეული და დოქტორანტების მონაწილეობის მხარდაჭერა	●	●	●	კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი

P5: უნივერსიტეტის მესამე მისიის შესაბამისად, ბაზრისა და საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით, ინოვაციური პროექტების შემუშავება-დანერგვა

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2023/24	2024/25	2025/26	
უნივერსიტეტის მესამე მისიასთან დაკავშირებული პროექტებისა და აქტივობების ბაზის შექმნა	●			სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი
უნივერსიტეტის მესამე მისიის პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა	●			სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი
SDG მიზნებთან მიმართებაში უნივერსიტეტის ფუნქციონირების შეფასება და შესაბამისობის გეგმის შემუშავება	●			სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი
საქველმოქმედო აქციების ორგანიზება ან/და სხვა ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ საქველმოქმედო აქტივობებში ჩართვა	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
მესამე მისიის სტრატეგიასთან თანმხვედრი პროექტების ინიცირება-განხორციელება	●	●	●	პროექტების მართვის დეპარტამენტი; მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი; კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი; სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი; სკოლები; ინოვაციებისა და მეწარმეობის განვითარების ცენტრი
აქსელერაციის პროგრამების მხარდაჭერა	●	●	●	ინოვაციებისა და მეწარმეობის განვითარების ცენტრი
სტარტაპ-ღონისძიებების (ჰაკათონი, მეიქათონი) ორგანიზება	●	●	●	ინოვაციებისა და მეწარმეობის განვითარების ცენტრი
ინოვაციურ საგრანტო კონკურსებში (GITA, აწარმოე საქართველოში, რუსთაველის ფონდი) მონაწილეობა და მონაწილე სტუდენტების მხარდაჭერა	●	●	●	ინოვაციებისა და მეწარმეობის განვითარების ცენტრი; სკოლები
ბაზრის საჭიროებაზე მორგებული ტრენინგების ჩატარება	●	●	●	ტრენინგ ცენტრი
ახალი საუნივერსიტეტო პროექტების მიზანშეწონილობის განსაზღვრა (feasibility study)	●	●	●	სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი
დონორების მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაციის გავრცელება	●	●	●	პროექტების მართვის დეპარტამენტი

დონორების საგრანტო კონკურსებისთვის განაცხადის მომზადება	●	●	●	პროექტების მართვის დეპარტამენტი;
ონლაინ და ჰიბრიდული ტიპის ტრენინგ კურსების მომზადება ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე	●	●	●	სკოლები; ტრენინგ ცენტრი
მეწარმეობის უნარების განმავითარებელი ღონისძიებების ჩატარება სტუდენტებისათვის, სტაფისთვის და გარე დაინტერესებული მხარეებისათვის	●	●	●	ინოვაციებისა და მეწარმეობის განვითარების ცენტრი
სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფა საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში	●	●	●	პროექტების მართვის დეპარტამენტი, სკოლები
მომზადება/გადამზადების ტრენინგების და პროფესიული კურსებისთვის მზადება			●	CAG (Caucasus Academy of Gastronomy) კავკასიის გასტრონომიის აკადემია, ტრენინგ ცენტრი



P6: საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება და ხარისხის გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა-კონტროლი

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2023/24	2024/25	2025/26	
დინტერესებულ მხარეებთან (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ადმინისტრაციული თანამშრომლები, დამსაქმებლები) შეხვედრების/გამოკითხვების ჩატარება პროგრამების შეფასება-გაუმჯობესების მიზნით	●	●	●	სკოლები; ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი
აკადემიური პროგრამების განვითარება და პროგრამული ცვლილებების განხორციელება (ლიტერატურა, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სასწავლო კურსები, პრაქტიკები, შეფასება, სწავლების მეთოდები და ა.შ.)	●	●	●	სკოლები; ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი
გარე და შიდა რისკების შეფასება და შესაბამისი გეგმების შემუშავება	●	●	●	სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი
სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი	●	●	●	სკოლები; ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა, რევენუენტთა ბაზისის შექმნა-განახლება-სრულყოფა	●	●	●	კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი, სკოლები და IT
საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასების სისტემის შემუშავება		●		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
არსებული და დამამთავრებელი სტუდენტებისთვის GPA-ს გამოთვლის პროცესის წარმართვა	●	●	●	რეესტრისა და საქმის წარმოების დეპარტამენტი
სტუდენტების გარე და შიდა მობილობის პროცესის წარმართვა	●	●	●	რეესტრისა და საქმის წარმოების დეპარტამენტი
დასკვნითი გამოცდების ფორმატის შესაბამისობის ანალიზი	●	●	●	სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი

P7: სტუდენტური ცხოვრების და სხვადასხვა პროექტების (სოციალური, სპორტული, კულტურული, შემეცნებითი, პროფესიული) მხარდაჭერა

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2023/24	2024/25	2025/26	
სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა-ჩატარება	●	●	●	სტუდენტთა და ორგანიზაციული ღონისძიებების სამსახური
კულტურული ღონისძიებების დაგეგმვა-ჩატარება	●	●	●	სტუდენტთა და ორგანიზაციული ღონისძიებების სამსახური
შემეცნებითი ღონისძიებების დაგეგმვა-ჩატარება	●	●	●	სტუდენტთა და ორგანიზაციული ღონისძიებების სამსახური
სოციალური აქტივობების დაგეგმვა-ჩატარება	●	●	●	სტუდენტთა და ორგანიზაციული ღონისძიებების სამსახური
საერთაშორისო სტუდენტებისთვის ღონისძიებების დაგეგმვა-ჩატარება	●	●	●	სტუდენტთა და ორგანიზაციული ღონისძიებების სამსახური; საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
პროფესიული ღონისძიებების დაგეგმვა-ჩატარება	●	●	●	სკოლები
პროფესიულ სტუდენტებისთვის ღონისძიებების დაგეგმვა-ჩატარება			●	CAG (Caucasus Academy of Gastronomy) კავკასიის გასტრონომიის აკადემია, ტრენინგ ცენტრი, სტუდენტთა და ორგანიზაციული ღონისძიებების სამსახური
პრეზიდენტის არაფორმალური შეხვედრა სტუდენტებთან	●	●	●	სტუდენტთა და ორგანიზაციული ღონისძიებების სამსახური

P8: მართვის ელექტრონული სისტემების გაძლიერება

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2023/24	2024/25	2025/26	
LMS -ის სისტემების სრულყოფა	●	●	●	პროგრამული უზრუნველყოფისა და განვითარების სამსახური; სკოლები
პერსონალის მართვის ელექტრონული ბაზის სრულყოფა	●	●	●	პროგრამული უზრუნველყოფისა და განვითარების სამსახური; პერსონალის მართვის დეპარტამენტი
კვლევის ხელშეწყობის ელექტრონული ბაზის სრულყოფა	●	●	●	პროგრამული უზრუნველყოფისა და განვითარების სამსახური
ფინანსური ბაზის სრულყოფა	●	●	●	ფინანსების მართვის დეპარტამენტი; პროგრამული უზრუნველყოფისა და განვითარების სამსახური
სწავლის შედეგების სისტემის შექმნა-სრულყოფა	●	●		პროგრამული უზრუნველყოფისა და განვითარების სამსახური; ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი; საერთაშორისო აკრედიტაციის სამსახური
სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პროგრამა შექმნა და სრულყოფა	●	●		პროგრამული უზრუნველყოფისა და განვითარების სამსახური; სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი
საერთაშორისო აკრედიტაციისთვის რეპორტინგის სიტემის სრულყოფა	●	●		საერთაშორისო აკრედიტაციების სამსახური; პროგრამული უზრუნველყოფისა და განვითარების სამსახური; სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი
ადმინისტრაციული პროცესების და კომუნიკაციის გაციფრულების უზრუნველყოფა	●	●	●	პროგრამული უზრუნველყოფისა და განვითარების სამსახური
სტუდენტის ახალი ელექტრონული გვერდის შექმნა-გაშვება	●	●		პროგრამული უზრუნველყოფისა და განვითარების სამსახური
დამსაქმებლების და სტუდენტების/კურსდამთავრებულების CU ელექტრონულ პლატფორმის შექმნა და მათი ჩართვა	●			პროგრამული უზრუნველყოფისა და განვითარების სამსახური;
ბიბლიოთეკის პროცესების გაციფრულების სრულყოფა	●	●	●	კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის სამსახური

P9: სტუდენტური სერვისების და სტუდენტთა უფლებების დაცვის მექანიზმების განვითარება-სრულყოფა

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2023/24	2024/25	2025/26	
სწრაფი რეაგირება სტუდენტთა მოთხოვნებზე, კომპეტენციის ფარგლებში სტუდენტების დახმარება და კონსულტირება, სტუდენტებისთვის განკუთვნილი ინფორმაციის მიწოდება	●	●	●	სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტი
სტუდენტების უფლებების გაცნობის მიზნით სტუდენტებთან შეხვედრების ორგანიზება-ჩატარება	●	●	●	ომბუდსმენის ოფისი
ომბუდსმენის სამსახურის ფუნქციების შესახებ სტუდენტებთან ჯგუფური საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება-გამართვა	●	●	●	ომბუდსმენის ოფისი
სასწავლო და საგამოცდო პროცესის მონიტორინგი	●	●	●	სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტი
პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის მონიტორინგი			●	სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტი

P10: კავკასიის უნივერსიტეტის ბრენდის ცნობადობაზე, იმიჯზე და რეპუტაციაზე მუდმივი ზრუნვა ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2023/24	2024/25	2025/26	
საუნივერსიტეტო საიმიჯო ღონისძიებების (პირველ კურსელთა წვეულება, ჰელოუინი, საახალწლო აქტივობები, 14 თებერვლის აქტივობა, 26 მაისის ღონისძიება, 1 ივნისის ღონისძიება, კურსდამთავრებულთათვის დიპლომების გადაცემის ცერემონიალი) ჩატარება	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
საზოგადოებრივი აზრის გაზომვა და მონიტორინგი	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
საკომუნიკაციო არხების მუშაობის (ვებგვერდი, სოციალური ქსელები) მუდმივი კონტროლი და ხარისხიანი კონტენტის გავრცელება	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
საერთაშორისო საგანმანათლებლო ასოციაციებში წევრობის შენარჩუნება და ახალ ასოციაციებში გაწევრიანება	●	●	●	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
საერთაშორისო ბაზრის მიზნობრივი სეგმენტისთვის საჭირო მარკეტინგული მასალების მომზადება	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
საერთაშორისო სარეიტინგო სისტემების მოთხოვნების შესწავლა და რეიტინგში მოსახვედრად სამუშაოების ჩატარება	●	●	●	საერთაშორისო აკრედიტაციის სამსახური

P11: ორგანიზაციულ მართვაში ორგანიზაციული და ხარისხის კულტურის როლის გაძლიერება

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2023/24	2024/25	2025/26	
საინფორმაციო ბიულეტენების (ნიუსლეტერების) მომზადება და გავრცელება	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
უნივერსიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვან ღონისძიებებზე კურსდამთავრებულთათვის ინფორმაციის მიწოდება	●	●	●	კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური
კორპორატიული გასვლებისა და თიმბილდინგ აქტივობების ორგანიზება	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი; პერსონალის მართვის დეპარტამენტი
მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ ცნობიერების ამაღლება	●	●	●	სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი; პერსონალის მართვის დეპარტამენტი
ინკლუზიისა და მრავალფეროვნების დოკუმენტის პოლიტიკის შექმნა და აღსრულება	●			სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი; პერსონალის მართვის დეპარტამენტი
გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა და აღსრულება	●			სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი; საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი; პერსონალის მართვის დეპარტამენტი
პერსონალის კეთილდღეობის პოლიტიკის შექმნა და აღსრულება		●		სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი; პერსონალის მართვის დეპარტამენტი
პერსონალის ინიციატივების გაზიარება/დანერგვა მართვის პროცესში და დეცენტრალიზაციის ხელშეწყობა-მხარდაჭერა (სისტემის შექმნა)	●	●	●	პერსონალის მართვის დეპარტამენტი
პრეზიდენტის არაფორმალური შეხვედრა აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან	●	●	●	პერსონალის მართვის დეპარტამენტი



P12: კურსდამთავრებულებთან მთელი სიცოცხლის მანძილზე (lifelong) კავშირის უზრუნველყოფა

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2023/24	2024/25	2025/26	
კურსდამთავრებულთა ბაზის განახლება	●	●	●	სტუდენტთა მომსახურების დეპარტამენტი; სკოლები
უნივერსიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვან ღონისძიებებზე კურსდამთავრებულთათვის ინფორმაციის მიწოდება	●	●	●	სტუდენტთა მომსახურების დეპარტამენტი; სკოლები
კურსდამთავრებულთათვის სპეციალური შეთავაზებების უზრუნველყოფა (მაგ. ფასდაკლებები ტრენინგ-კურსებზე და ა. შ.)	●	●	●	სტუდენტთა მომსახურების დეპარტამენტი; სკოლები
კურსდამთავრებულების მოწვევა საუნივერსიტეტო ღონისძიებებზე (მაგ. Alumni Reunion, CU ბავშვები, CU დასის სპექტაკლი, საშობაო მარკეტი)	●	●	●	სტუდენტთა მომსახურების დეპარტამენტი; სკოლები
კურსდამთავრებულთა ფონდის ჩამოყალიბება	●			კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური
კურსდამთავრებულთა მონაწილეობით ექსტრაკურსულარული აქტივობების (სტუმრის საათი, საჯარო ლექცია, აბიტურიენტებთან შეხვედრა) ორგანიზება-ჩატარება	●	●	●	კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური

R1: მაღალკვალიფიციური, სწავლებასა და/ან პრაქტიკაში მრავალწლიანი ადგილობრივი და/ან საერთაშორისო გამოცდილების აკადემიური პერსონალის მოზიდვა-შენარჩუნებაზე მუდმივი ზრუნვა

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2023/24	2024/25	2025/26	
მაღალკვალიფიციური აფილირებული აკადემიური პერსონალის აყვანა და არსებულის შენარჩუნება (A კონტრაქტი)	●	●	●	სკოლები; პერსონალის მართვის დეპარტამენტი;
მაღალკვალიფიციური მოწვეული პერსონალის მოწვევა (C კონტრაქტი) და არსებულის შენარჩუნება	●	●	●	სკოლები; პერსონალის მართვის დეპარტამენტი;
ბაზარზე მოთხოვნი ტრენერების მოძიება-თანამშრომლობა თბილისის, ბათუმის, გურჯაანის და დუბაის ლოკაციებზე	●	●	●	ტრენინგ ცენტრი

R2: საგანმანათლებლო და/ან კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო საბიბლიოთეკო რესურსების განვითარება

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2023/24	2024/25	2025/26	
აკადემიური პროგრამებისთვის გათვალისწინებული წიგნადი ფონდის შექმნა-განახლება	●	●	●	სკოლები; ბიბლიოთეკა
არსებულ საბიბლიოთეკურ ელექტრონულ ბაზებზე წვდომის შენარჩუნება	●	●	●	ბიბლიოთეკა
საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის მოძიება-ინსტალაცია	●	●	●	სკოლები; ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი
ადგილობრივ და საერთაშორისო გამომცემლობებთან თანამშრომლობის განვითარება	●	●	●	ბიბლიოთეკა
სასწავლო პროცესის მართვის პლატფორმების (Moodle, Turnitin) გამოყენების სიხშირის გაზრდა	●	●	●	აკადემიური წერის ცენტრი
აკადემიური პროგრამებისთვის და კვლევით მიმართულებებისთვის საჭირო ლაბორატორიული აღჭურვილობა-დანადგარების შექმნა და არსებულის განახლება-შენარჩუნება	●	●	●	სკოლები; შესყიდვების სამსახური

R3: ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დონეზე

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2023/24	2024/25	2025/26	
მაღალკვალიფიციური უცხოელი აკადემიური პერსონალის აყვანა და არსებულის შენარჩუნება	●	●	●	სკოლები; პერსონალის მართვის დეპარტამენტი
უცხოელი ტრენერების მოზიდვა თბილისში, ბათუმში, გურჯაანსა და დუბაიში	●	●	●	ტრენინგ ცენტრი

R4: აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო გარემოზე ზრუნვა და მათი პროფესიული განვითარების მუდმივი ხელშეწყობა

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2023/24	2024/25	2025/26	
აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის შესაბამისი სამუშაო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა	●	●	●	პერსონალის მართვის დეპარტამენტი; შესყიდვების სამსახური
აკადემიური და მოწვეული პერსონალის კეთილდღეობისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა და სერვისები	●	●	●	პერსონალის მართვის დეპარტამენტი; ლოგისტიკის და უსაფრთხოების დეპარტამენტი; ფინანსების მართვის დეპარტამენტი
პროფესიული მასწავლებლების და ტრენერების კეთილდღეობისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა და სერვისები			●	პერსონალის მართვის დეპარტამენტი; ლოგისტიკის და უსაფრთხოების დეპარტამენტი; ფინანსების მართვის დეპარტამენტი

R5: ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო გარემოზე ზრუნვა და მათ პროფესიულ განვითარების მუდმივი ხელშეწყობა

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2023/24	2024/25	2025/26	
ადმინისტრაციული პერსონალისთვის შესაბამისი სამუშაო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა	●	●	●	პერსონალის მართვის დეპარტამენტი; შესყიდვების სამსახური
ადმინისტრაციული პერსონალის კეთილდღეობისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა და სერვისები	●	●	●	პერსონალის მართვის დეპარტამენტი,
პერსონალური და პროფესიული ღონისძიებების მომზადება და შეთავაზება	●	●	●	პერსონალის მართვის დეპარტამენტი,
ადმინისტრაციული პერსონალის სამოტივაციო და კარიერული წინსვლის სქემის სისტემის შემუშავება-დახვეწა-განხორციელება	●	●	●	პერსონალის მართვის დეპარტამენტი; ფინანსების მართვის დეპარტამენტი
შესრულებული სამუშაოს შეფასების (360-იანი შეფასება) დანერგვა		●		პერსონალის მართვის დეპარტამენტი, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი

R6: აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების უზრუნველყოფა და პერსონალის კმაყოფილებაზე მუდმივი ზრუნვა-კონტროლი

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2023/24	2024/25	2025/26	
საერთო კმაყოფილების გამოკითხვის ჩატარება აკადემიურ (ლექტორები, პროფესიული მასწავლებლები, ტრენერები) და ადმინისტრაციულ პერსონალში და მიღებული მონაცემების ანალიზი	●	●	●	კვლევისა და მონაცემთა ანალიზის სამსახური
საერთო კმაყოფილების გამოკითხვის შედეგებზე რეაგირება	●	●	●	პერსონალის მართვის დეპარტამენტი,
ომბუდსმენის ოფისის ფუნქციონირება	●	●	●	ომბუდსმენის სამსახური

R7: საგანმანათლებლო და/ან კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2023/24	2024/25	2025/26	
სასერვერო ოთახის დამცავი სისტემის ან ინფრასტრუქტურის გამართვა (სპეციალური ხანძარმქრობის სისტემის მონტაჟი, სასერვერო ოთახში იატაკის ხელოვნურად აწევა)	●	●	●	საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი
არსებული საკლასო აუდიტორიების კომპიუტერული ტექნიკის მონიტორინგი და გეგმიური განახლება (პროექტორი, კომპიუტერები)	●	●	●	საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი
ასლგადამღები ცენტრის შექმნა სტუდენტებისთვის		●		საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი
WI-FI დაფარვის მუდმივი მონიტორინგი და საჭიროებისამებრ განახლება	●	●	●	საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი
გამომცემლობის გახსნა			●	გამომცემლობა
არსებული კვლევითი ცენტრების ფუნქციონირება და ახლების გახსნა	●	●	●	სკოლები
C სივრცეები, პროფესიული პროგრამების შესაბამისი ინფრასტრუქტურა		●		ლოგისტიკის და უსაფრთხოების დეპარტამენტი

R8: უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება-გაფართოებაზე მიმართული მსხვილმასშტაბიანი პროექტების განხორციელება

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2023/24	2024/25	2025/26	
კავკასიის უნივერსიტეტის ბათუმის ახალი კამპუსის მშენებლობა	●			ვიცე-პრეზიდენტი ადმინისტრაციისა და მონიტორინგის დარგში
კავკასიის უნივერსიტეტის ბათუმის ახალი კამპუსის გახსნა	●			მარკეტინგისა და საზოგადოებათან ურთიერთობის დეპარტამენტი
საუნივერსიტეტო საავადმყოფოს მშენებლობის პროექტის შემუშავება-დამტკიცება	●	●		ვიცე-პრეზიდენტი ადმინისტრაციისა და მონიტორინგის დარგში
დუბაიში კავკასიის ტრენინგ ცენტრის გახსნა	●			ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში
ბიბლიოთეკის ახალი შენობის პროექტის შემუშავება-დამტკიცება			●	ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში
გურჯაანში CAG (Caucasus Academy of Gastronomy) კავკასიის გასტრონომიის აკადემიის მშენებლობა	●	●		ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში




## დაგეგმვის მეთოდოლოგია

კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მიმდინარეობდა 2019- 2020 წლის განმავლობაში დაინტერესებულ მხარეთა აქტიური ჩართულობით. პროცესს სათავეში ედგა კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ინიცირება, შესრულება და შედეგების განხილვა ხდებოდა სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტისა და ფუნქციათაშორისი სამუშაო ჯგუფის მიერ.

სამწლიანი სამოქმედო გეგმის (2020-2023) მიწურულს განხორციელდა დაგეგმვის მეთოდოლოგიის გადახედვა-შეფასება. კომპლექსური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მოქმედი დაგეგმვის მეთოდოლოგია წარმატებით მუშაობს და უზრუნველყოფს შედეგინილი გეგმის ეფექტურ განხორციელებას. მომდევნო სამ წლიანი (2023/24-2025/26) სამოქმედო გეგმის შესრულებისათვის დაგეგმვის და მონიტორინგის მეთოდოლოგია დარჩა უცვლელი.

კავკასიის უნივერსიტეტმა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის შეარჩია [სტრატეგიული რუკა - დაბალანსებული შედეგების ცხრილის / Strategic Map – Balanced Scorecard](#)-ის მოდელი (მეთოდოლოგიის ავტორები: რ. კაპლანი, დ. ნორტონი). დაგეგმვის პროცესი წარმოდგენილია დიაგრამა 1-ზე.



დიაგრამა 1: სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპები

პირველ ეტაპზე ჩამოყალიბდა სტრატეგიული დაგეგმვის ფუნქციათაშორისი სამუშაო ჯგუფი (შემდგომში ამ დოკუმენტში „სამუშაო ჯგუფი“). სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების ძირითად მიზნებს წარმოადგენდა:

- პროცესში ორგანიზაციის სხვადასხვა დეპარტამენტის ჩართულობის გაზრდა;
- გეგმის შემუშავებისას სხვადასხვა ფუნქციური რგოლის წარმომადგენლის ფასეული შეხედულებების, მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გენერირება;
- გეგმების იმპლემენტაციის ფაზაში მათი მხრიდან მეტი მხარდაჭერა და კოორდინაცია.

კავკასიის უნივერსიტეტის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში 2023-2024 აკადემიური წლიდან შედიან:

1. ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული დაგეგმვის დარგში
2. ვიცე-პრეზიდენტი მონიტორინგის და ადმინისტრაციულ დარგში
3. ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში
4. ვიცე-პრეზიდენტი მატერიალური რესურსების დარგში
5. ვიცე-პრეზიდენტი ფინანსურ დარგში
6. ვიცე-პრეზიდენტი ინტერნაციონალიზაციის დარგში
7. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი
8. სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი
9. საერთაშორისო აკრედიტაციის სამსახურის უფროსი
10. პერსონალის მართვის დეპარტამენტის დირექტორი
11. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დირექტორი
12. მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი
13. სტუდენტური და ორგანიზაციული ღონისძიებების სამსახურის უფროსი
14. კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

2020/21-2026/27 აკადემიური წლების სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებით კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტმა (შემდგომში ამ დოკუმენტში „დეპარტამენტი“), სამუშაო ჯგუფის მონაწილეობით, გამართა შეხვედრები უნივერსიტეტის დაინტერესებულ ჯგუფებთან. დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა ონლაინ გამოკითხვები, ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები, სადაც განიხილებოდა ამ თემასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი.

განხილვების შედეგად ჩამოყალიბდა შეხედულებები კავკასიის უნივერსიტეტის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და საქმიანობის შესახებ და უკვე შემდგომ მმართველმა საბჭომ დაამტკიცა მოდიფიცირებული მისია, ხედვა და ღირებულებები.

გარემოში არსებული ძალებისა და ორგანიზაციის შიდა პროცესების შეფასების მიზნით დეპარტამენტმა ჩაატარა ე. წ. SWOT ანალიზი. შექმნა თითოეული დაინტერესებული

მხარისთვის მორგებული SWOT კითხვარი და ჩაატარა გამოკითხვა. შედეგების საფუძველზე გამოავლინა კავკასიის უნივერსიტეტის წინაშე არსებული შესაძლებლობები და საფრთხეები (OT ნაწილი), უნივერსიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები (SW ნაწილი) და დაიტანა შესაბამის მატრიცაზე. სამუშაო ჯგუფმა SWOT ანალიზის შედეგად განსაზღვრა გრძელვადიანი სტრატეგიული ამოცანები.

პარტნიორთა კრებამ მმართველმა საბჭოსთან ერთად განსაზღვრა და დაამტკიცა კავკასიის უნივერსიტეტის 3 ძირითადი სტრატეგიული მიმართულება (პრიორიტეტი), რომლის შესრულებისთვისაც იმოქმედებს უნივერსიტეტი მომავალი 7 წლის განმავლობაში:

- სამეცნიერო კვლევების ინტენსიფიკაცია და რელევანტობის გაზრდა
- სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება
- ინტერნაციონალიზაცია

დეპარტამენტმა, სამუშაო ჯგუფთან კოორდინაციითა და კავკასიის უნივერსიტეტის ყველა დაინტერესებული ჯგუფის (ადმინისტრაცია, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები) ჩართულობით, შეიმუშავა სტრატეგიული ამოცანების პირველადი ვარიანტი. დეპარტამენტმა ამოცანები დაიტანა სტრატეგიულ რუკაზე (Strategic Map). რუკა გვიჩვენებს ამოცანებს შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და ორგანიზაციის სტრატეგიის მთლიან სურათს ისეთი მნიშვნელოვანი განზომილებების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ფინანსური მდგრადობა, მომხმარებელზე ორიენტირებულობა, ახალი პროცესების შექმნა და არსებულის დახვეწა, თანამშრომელთა პროფესიული ზრდა, რესურსების ოპტიმიზაცია. სტრატეგიული ამოცანებისა და რუკის სამუშაო ვერსია განიხილა მმართველმა საბჭომ და განხილვისა და მოდიფიცირების შედეგად მიღებული საბოლოო ვერსია დაამტკიცა პარტნიორთა კრებამ.

პარტნიორთა კრების მიერ დამტკიცებულ სტრატეგიულ ამოცანებს სტრუქტურულმა ერთეულებმა განუსაზღვრეს საზომი ინდიკატორები (KPI), სამიზნემაჩვენებლები და სამოქმედო გეგმის (აქტივობების) პირველადი ვერსია. ზემოთხსენებული მონაცემები დეპარტამენტმა გადაიტანა დაბალანსებული შედეგების ცხრილში (Balanced Scorecard). დაბალანსებული შედეგების ცხრილის პირველადი ვარიანტის შექმნის შემდეგ დეპარტამენტმა გასცა უკუკავშირი და შეიქმნა ცხრილის მოდიფიცირებული ვარიანტი. მმართველი საბჭოსგან მიღებული კომენტარების საფუძველზე შემუშავდა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის საბოლოო ვარიანტი, რომელიც დაამტკიცა პარტნიორთა კრებამ.

სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტმა შეიმუშავა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები<sup>1</sup>, რომლის თანახმადაც

<sup>1</sup> სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ გვ. 58-60


დეპარტამენტი პერიოდულად აფასებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მიმდინარეობას და, საჭიროების შემთხვევაში, შეაქვს ცვლილებები. ხსენებული შეფასებისთვის, უნივერსიტეტში შემუშავდა, დაინერგა და მუდმივად იხვეწება “სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის ონლაინ პლატფორმა”, რომელიც საშუალებას იძლევა ყოველწლიურად მონაცემების შეკრების და შესაბამისი ანალიზის განხორციელების დაგეგმილი აქტივობების შესრულებისა და სამიზნე ნიშნულების მიღწევის ხარისხსთან მიმართებაში.

## SWOT ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტის შიდა და გარე ფაქტორების გასაანალიზებლად სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტმა ჩაატარა უნივერსიტეტის SWOT ანალიზი. ანალიზის პროცესი მოიცავდა შემდეგ ძირითად ეტაპებს:

1. კვლევის მიზნის განსაზღვრა
2. სამიზნე ჯგუფის განსაზღვრა
3. კითხვარის შექმნა
4. საპილოტე გამოკითხვის ჩატარება
5. კითხვარის მოდიფიცირება
6. გამოკითხვის ჩატარება
7. შედეგების ანალიზი
8. შედეგებიდან გამომდინარე პირველადი სტრატეგიული ამოცანების ჩამოყალიბება

SWOT ანალიზის შედეგად გამოვლინდა უნივერსიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები და, ამასთანავე, შესაძლებლობები და საფრთხეები, რამაც განაპირობა კონკრეტული სტრატეგიული ამოცანებისა და აქტივობების ჩამოყალიბება.



სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტმა შექმნა სპეციალური SWOT კითხვარები. სულ შეიქმნა 13 სახის კითხვარი. თითოეული კითხვარი ზუსტად იყო მორგებული სამიზნე ჯგუფზე და ითვალისწინებდა მათგან იმ კონკრეტული

ფაქტორების შეფასებას, რაც უშუალოდ მათ ეხებოდათ. რესპონდენტები იყვნენ კავკასიის უნივერსიტეტის მენეჯმენტის უმაღლესი რგოლი, ადმინისტრაციული თანამშრომლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. სულ გამოიკითხა 566 რესპონდენტი.

კითხვარი აერთიანებდა 5 შეკითხვას. პირველ სამი კითხვით გამოვლინდა კავკასიის უნივერსიტეტის შიდა ფაქტორები: ძლიერი და სუსტი მხარეები.


პირველ კითხვაში ჩამოთვლილი იყო კავკასიის უნივერსიტეტის შიდა ფაქტორები და რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ თითოეულის მნიშვნელოვნება შესაბამისი ქულით (1-დან 9 ქულის ჩათვლით). ამ შეკითხვის შედეგების ანალიზით გამოიკვეთა კავკასიის უნივერსიტეტის ძლიერი კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორები. მეორე კითხვით რესპონდენტები აფასებდნენ, სუსტ თუ ძლიერ მხარეს წარმოადგენდა თითოეული ფაქტორი კავკასიის უნივერსიტეტისათვის და თავიანთი აღქმის მიხედვით წერდნენ ქულებს (1-დან 9-ის ჩათვლით). მესამე კითხვაში თავად შეეძლოთ დაესახელებინათ ისეთი სუსტი ან ძლიერი დამატებითი ფაქტორი, რომელიც ჩამონათვალში არ შეხვდათ და შეეფასებინათ ანალოგიურად.

მიღებული შედეგების მიხედვით სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტმა ააგო მატრიცა (იხილეთ დიაგრამა 2), რომლის მიხედვითაც ფაქტორები განაწილდა 4 ზონაში:

1. ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც კავკასიის უნივერსიტეტის შედარებით სუსტ მხარეს წარმოადგენს;



2. ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც კავკასიის უნივერსიტეტის შედარებით ძლიერ მხარეს წარმოადგენს;
3. მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც კავკასიის უნივერსიტეტისთვის შედარებით ძლიერ მხარეს წარმოადგენს;
4. მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც კავკასიის უნივერსიტეტის შედარებით სუსტ მხარეს წარმოადგენს.



დიაგრამა 2: შიდა ფაქტორთა განაწილების მატრიცა

დიაგრამის გაანალიზების შემდეგ ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდა მნიშვნელოვან ფაქტორებზე და გამოვლინდა კავკასიის უნივერსიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები.

**კავკასიის უნივერსიტეტის ძლიერი მხარე:**

- უნივერსიტეტის ცნობადობა, რეპუტაცია /იმიჯი
- სწავლების პროცესი
- უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილება

- ინდივიდუალური მიდგომა სტუდენტებთან
- ადმინისტრაციულ თანამშრომელთა პროფესიონალიზმი
- საერთაშორისო აღიარება და პარტნიორობა
- უნივერსიტეტის გაცვლითი და ორმაგი პროგრამები
- ფინანსური მხარდაჭერა (სასწავლო პროგრამების, კვლევითი პროექტების და ა.შ.)
- კურსდამთავრებულთა დასაქმება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე
- საკლასო აუდიტორიების აღჭურვილობა
- სოციალური სივრცეები
- IT ინფრასტრუქტურა
- სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილში თანამშრომელთა და სტუდენტთა დიდი ჩართულობა

#### კავკასიის უნივერსიტეტის სუსტი მხარე:

- საუნივერსიტეტო კვლევითი საქმიანობის არასაკმარისი ინტენსივობა (ფუნდამენტური კვლევა, გამოყენებითი კვლევა)
- საერთაშორისო კვლევითი პროექტების მცირე რაოდენობა
- ბიბლიოთეკის საკითხავი სივრცის სიმცირე

კითხვარის მეოთხე-მეხუთე იყო ღია ტიპის შეკითხვა და ეხებოდა გარე ფაქტორებს. რესპონდენტებს უნდა ჩამოეთვალათ გარემოში არსებული ფაქტორები, რომლებიც ხელსაყრელ პირობას (შესაძლებლობას) შექმნის კავკასიის უნივერსიტეტის ძლიერი კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბებისათვის მომავალი 3 წლის განმავლობაში. ხოლო მეხუთე კითხვა ითვალისწინებდა გარემოში არსებული ფაქტორების დასახელებას, რომლებიც კავკასიის უნივერსიტეტის ძლიერი კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბებისათვის ხელის შემშლელი იქნება ან/და წარმოადგენს საფრთხეს მომავალი 3 წლის განმავლობაში.

შედეგების გაანალიზების შემდგომ გამოვლინდა კავკასიის უნივერსიტეტის წინაშე არსებული შესაძლებლობები და საფრთხეები.

### კავკასიის უნივერსიტეტის წინაშე არსებული შესაძლებლობები:

- ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევითი პროექტების გაზრდილი რაოდენობა
- უცხოელი სტუდენტების მიერ საქართველოში სწავლით დაინტერესება
- ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება (რომლის საშუალებითაც შესაძლებელია განათლების ახალი, ინოვაციური გზებით მიწოდება)
- განათლების რეფორმა - კრედიტების შემცირება საფეხურებზე

### კავკასიის უნივერსიტეტის წინაშე არსებული საფრთხეები:


- ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემო
- კონკურენციის ზრდა - კონკურენტი უნივერსიტეტების/აკადემიური პროგრამების რაოდენობის ზრდა
- უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებით შექმნილი ბარიერები
- საქართველოში მკვლევარი აკადემიური პერსონალის სიმცირე
- დასაქმების ბაზრის გაჯერება - სამუშაო ადგილების ნაკლებობა, დასაქმების ხარისხის ვარდნა

მიღებული შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შემუშავდა კავკასიის უნივერსიტეტის პირველადი სტრატეგიული ამოცანები.

## სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები

კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი ახორციელებს კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და მისი სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმების შექმნის პროცესს, შესრულების მონიტორინგს, შესრულებული სამუშაოების შეფასებასა და, საჭიროებისამებრ მათ კორექტირებას.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის პროცესი შედგება ოთხი ეტაპისგან (იხილეთ დიაგრამა 3):



დიაგრამა 3: სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის პროცესი

### უტაპი 1: ინფორმაციის ორგანიზების უტაპი

კავკასიის უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ასახული ინფორმაციის გადატანა ხდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების ეფექტური მონიტორინგისთვის შექმნილ სპეციალურ პროგრამაში - „სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პროგრამა“-ში.

სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტს პროგრამაში შეჰყავს:

- უნივერსიტეტის სტრატეგიული ამოცანები;
- სტრატეგიული ამოცანების საზომი ინდიკატორები (KPI) და სამიზნე ნიშნულები;
- ამოცანების მიდწევისთვის დაგეგმილი აქტივობები და მათი შესრულების ვადები.

პროგრამაზე წვდომა აქვთ უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების პასუხისმგებელ პირებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სტრატეგიული განვითარების გეგმის იმპლემენტაციასა და შესრულებაში. ისინი პერიოდულად დააფიქსირებენ თითოეულ მიზანთან და სამოქმედო აქტივობასთან დაკავშირებულ მიმდინარე სტატუსს.

### ეტაპი 2: შესრულებული სამუშაოს შეფასების ეტაპი

მონიტორინგის ამ ეტაპზე სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი უზრუნველყოფს მიღებული ინფორმაციის განხილვას და შესრულებული სამუშაოს შეფასებას.

დეპარტამენტი სამოქმედო გეგმას აფასებს წელიწადში ერთხელ ყოველი აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრის დასრულებისას. მონიტორინგის ამ ეტაპზე ხდება სამოქმედო გეგმით დაგეგმილი აქტივობების განხორციელების შედეგად მიღწეული სამიზნე ნიშნულების დადარება დაგეგმილთან.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული თითოეული აქტივობის განხორციელების შედეგად მიღწეული ნიშნულის შემოწმება (გაზომვა) ხდება შესაბამისი სტრატეგიული ამოცანის საზომი ინდიკატორებით (KPI).

### ეტაპი 3: უკუკავშირის და ანგარიშის მომზადების ეტაპი

სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი შესრულებული სამუშაოს შეფასების შემდგომ შეიმუშავებს შესაბამის რჩევებსა და რეკომენდაციებს და განიხილავს მას შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან.

### ეტაპი 4: სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების კორექტირების ეტაპი

წინა ეტაპების გავლის შემდეგ სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი გადაწყვეტს საჭიროა თუ არა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა და იმოქმედებს შესაბამისად.

მონიტორინგის შედეგებზე რეაგირება შეიძლება განვითარდეს შემდეგი შესაძლო გზებით:

- თუ მოცემული სტრატეგიული ამოცანისა და აქტივობის შემთხვევაში ყველაფერი მიმდინარეობს გეგმის შესაბამისად, მიღწეულია დასახული სამიზნე ნიშნულები, მაშინ სამოქმედო გეგმის შესრულება გაგრძელდება ისე, როგორც დაგეგმილი იყო.
- თუ მოცემული სტრატეგიული ამოცანისა და აქტივობის შემთხვევაში მიღწეული არ არის დასახული სამიზნე ნიშნულები, მაშინ ხდება მიზეზების დადგენა.

- თუ მისაღწევ ნიშნულებამდე ვერ მივდივართ იმის გამო, რომ გაწერილი სამოქმედო აქტივობები არ არის საკმარისი, მაშინ ხდება დამატებითი აქტივობების გენერირება, დაგეგმვა და, შესაბამისად, სამოქმედო გეგმის ცვლილება. სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიას დეპარტამენტი შეიმუშავებს და წარუდგენს მმართველ საბჭოს და დამტკიცების შემდგომ, განსახორციელებელი აქტივობები გაგრძელდება განახლებული გეგმის შესაბამისად.
- თუ მისაღწევ ნიშნულებამდე ვერ მივდივართ იმიტომ, რომ შეიცვალა გარე და შიდა ფაქტორები ისე, რომ შეუძლებელია ამოცანის დასახულ ნიშნულამდე მიღწევა, ამ შემთხვევაში სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტს ცვლილებები შეაქვს სტრატეგიული განვითარების გეგმაში (მაგ. შესაძლოა მოხდეს სამიზნე ნიშნულების განხილვა-ცვლილება, სტრატეგიული ამოცანის მოდიფიცირება და სხვ.).

განახლებული სტრატეგიული განვითარების გეგმაზე დაფუძნებით დეპარტამენტი ცვლილებებს შეიტანს სამოქმედო გეგმაშიც. შემდგომ დეპარტამენტი ცვლილებების პროექტს წარუდგენს მმართველ საბჭოს და საჭიროების შემთხვევაში გეგმას განახლებულ სახით დაამტკიცებს პარტნიორთა კრება. განსახორციელებელი აქტივობები გაგრძელდება მოდიფიცირებული გეგმის შესაბამისად.



